"თელასი"-ს პრეტენზიები სემეკ-ს A2

აფხაზი სეპარატისტები დივერსანტებს ეძებენ A3

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

ოთხშაბათი, 24 სექტემბერი, 2003 წელი. №254 (466)

ფასი 30 თეთრი

© გაზეთი 24 საათი

## საქართველოს საგარეო ვალმა 1,7 მილიარდ დოლარს მიაღწია

ნინო ნარჩემაშვილი

დაახლოებით ერთი წელია, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს გაურკვეველი ვადით ყოველგვარი დახმარება შეუწყვიტა, რისი ერთადერთი მიზეზიც ქართული მხარის მიერ აღებული და არაერთ მემორანდუმში ხელმოწერებით განმტკიცებული ვალდებულებების შეუსრულებლობა გახდა. ქვეყანა ველარ მიიღებს ვერც უკანასკნელი გეგმით გათვალისწინებულ 30 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ტრანშს, რომელიც უკვე ივნისის თვეში უნდა გამოყოფილიყო და საიდანაც თანხის გარკვეული ნაწილი საერთაშორისო სავალუტო რეზერვების შესავსებად უნდა ყოფილიყო მიმართული. ამ რეზერვების ძირითადი დანიშნულება კი ქვეყნის საგარეო ვალების შეუფერხებელი მომსახურება გახლავთ.

ამასობაში, საქართველოს საგარეო ვალმა 1,7 მილიარდი აშშ დოლარი (3,7 მილიარდი ლარი) შეადგინა, ანუ ეს ციფრი ჩვენი სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების ოდენობას აღნიშნავს. კრედიტორების საკმაოდ შთამბეჭდავი და ვრცელი სიიდან, მხოლოდ ერთადერთ ქვეყანას - თურქმენეთს, ვისიც საქართველოს 297 მილიონი დოლარი მართებს, ვალი მომსახურებით, სამუშაოთა წარმოებით და ნედლეულის მიწოდებით უბრუნდება. დანარჩენი მრავალმხრივი და ორმხრივი კრედიტორები ვალის დაბრუნებას მხოლოდ ფულით ითხოვენ. ასევე, უნდა დაბრუნდეს სახელმწიფო გარანტიით აღებული სესხები. ვალების დაფარვა კი თითოეულ კრედიტორთან, იქნება ეს ქვეყანა თუ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი, გაფორმებული ხელშეკრულების გრაფიკის შესაბამისად ხორციელდება.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ქვეყნის მთავრობას ყველაზე დიდი ოდენობის ვალი, 506 მილიონი აშშ დოლარი (ერთი მილიარდი ლარი) მსოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო ასოციაციის მართებს. საქართველოს მთავრობის ვალების გასტუმრება ეროვნული ბანკის (სებ) საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მეშვეობით ხდება. სებ-ის ინფორმაციით, ამჟამად ეს რეზერვი შიდა რესურსების ხარჯზე იქმნება და 196,2 მილიონ აშშ დოლარზე მეტია, მაგრამ ეს მაჩვენებელი გაცილებით გაიზრდებოდა, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოყოფილი კრედიტები რომ არ შეჩერებულიყო.

საკითხავია, როდემდე?

## ნომერ პირველი ტერორისტს რეგისტრაცია გაუუქმეს

იგორ გიორგაძეს არც ახლა გაუმართლა – წინა საპრეზიდენტო არჩევნების მსგავსად, იგი ამ (ამჯერად, საპარლამენტო) არჩევნებსაც გამოეთიშა.

A2

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 23 | ☼ |
| ქუთაისი | 27 | ☼ |
| ბათუმი | 26 | ☼ |
| სოხუმი | 26 | ☼ |
| ფოთი | 27 | ☼ |
| თელავი | 21 | ☼ |
| ზუგდიდი | 28 | ☼ |
| გორი | 21 | ☼ |
| ახმეტა | 22 | ☼ |
| ჭიათურა | 23 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1375 |
| ევრო | 2.3951 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4322 |
| რუბლი | 0.0705 |

# ვაშინგტონს „საქართველოთი დაღლილობა" სჭირს

### თუმცა, ამერიკაში ჩვენდამი ნდობის კრედიტი ჯერ კიდევ არ ამოწურულა

*"მიუხედავად "ჩავარდნისა" (რაც ჩვენი ხელისუფლების ბრალია, მაგრამ მთელ ქვეყანას მიეწერება), ვაშინგტონში ჯერ კიდევ შემორჩათ საქართველოსადმი ნდობის კრედიტი," - გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა მასმედიას ამერიკაში ვიზიტის შედეგები გააცნეს.*

ვერიკო თევზაძე

თეთრ სახლში, ეროვნული უშიშროების საბჭოში, სახელმწიფო დეპარტამენტის სხვადასხვა სამსახურებში, პენტაგონსა და სენატში გამართული ვიზიტების მიზანი იყო ამერიკის ოფიციალური წრეებისთვის საქართველოში მიმდინარე საარჩევნო პროცესების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ამასთანავე, ქართულ მხარეს აინტერესებდა ვაშინგტონის პოზიცია და, საბოლოო ჯამში, საერთო დამოკიდებულების ჩამოყალიბება, თუ რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რათა საქართველოში საარჩევნო პროცესი დემოკრატიულად წარიმართოს.

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიის ინსტიტუტის ხელმძღვანელის გია ნოდიას თქმით, მათ ამერიკელ პარტნიორებს აუწყეს, რომ დღეს საქართველოში ყველაზე სახიფათო ტენდენციაა ხელისუფლების მიერ ოპოზიციის, თავისუფალი პრესისა და დამოუკიდებელი მოსამართლეების წინააღმდეგ მიმართული ძალადობა. **"თუ საქართველოში არსებული ხელისუფლება აქამდე მეტ-ნაკლებად გვევლინებოდა დემოკრატიული პრინციპების მხარდამჭერად, დღეს უკვე, როცა დემოკრატიული ბერკეტები საფრთხეს უქმნის თავად ხელისუფლების არსებობას, იგი (ხელისუფლება) უკან იხევს და საქართველოში დემოკრატიულობის ხარისხი მცირდება,"** -

გაგრძელება A3 გვერდზე

## პრეზიდენტი თავის კანდიდატებს უფლებას რთავს, ილაპარაკონ მიღწევებზე

თამარ ხორბალაძე

**"თქვენ გაქვთ უფლება, ისაუბროთ იმაზე, რაც გაკეთდა... თქვენ უნდა გაიმარჯვოთ და თქვენ უნდა მოუტანოთ ხმები პარტიას,"** – ასე მოძღვრავდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე სამშაბათს სახელისუფლებო ბლოკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს. ისინი ავთანდილ ჯორბენაძემ ოფიციალურად წარადგინა.

სიურპრიზები არ ყოფილა – სახელისუფლებო ბლოკს ისევ არ აქვს გადაწყვეტილი, ვის დაუპირისპირებს საბურთალოს რაიონში ზურაბ ჟვანიას, დანარჩენ რაიონებში კი სახელისუფლებო პარტიების წარმომადგენელთა სახელები, პრაქტიკულად, გარკვეულია:

გაგრძელება A3 გვერდზე



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის.*

## დაპირისპირება ერაყის მომავლის გარშემო გრძელდება

ლევან ღირსიაშვილი

**"ბატონებო, ჩვენ გზის გასაყართან ვდგავართ. ეს მომენტი არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე 1945 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაფუძნება,"** - ამ სიტყვებით მიმართა გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა გენერალურ ასამბლეას, რომელმაც ერაყის საბოლოო მოწყობის და ამასთან დაკავშირებული აშშ-ს რეზოლუციის პროექტის ბედი უნდა გადაწყვიტოს. გენერალური ასამბლეის ამ სხდომას მართლაც ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება. ასამბლეამ უნდა იმსჯელოს იმ საკითხებზე, რომელთა გადაჭრაც უშიშროების საბჭოს წევრებმა ვერ შეძლეს. **"ბატონებო, მე უმორჩილესად უნდა გთხოვოთ, რომ გადაწყვეტილების მიღებას თქვენი ხალხების თვალით შეხედოთ, რომლებიც შეცდომას არ მოგიტევებენ,"** - შეახსენა კოფი ანანმა გენერალური ასამბლეის წევრებს ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომლითაც მათ უნდა იხელმძღვანელონ.

გაგრძელება A5 გვერდზე



REUTERS

*კოლინ პაუელი საფრანგეთის პოზიციას არარეალურს უწოდებს.*

## 50-იანელების დაბრუნება

ლონდონის მოდის კვირეული

A8









## რუსული ენერგოგიგანტები და ფარული საფრთხეები

მაია ურუშაძე

გუშინ არასამთავრობო ორგანიზაცია "პი-ეს-აი ჯორჯიამ" (პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისათვის), საქართველოს ენერგოუსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილი, ექსპერტთა მორიგი შეხვედრა მოაწყო. განხილვის თემა – საქართველო-"გაზპრომს" შორის გაფორმებული 25-წლიანი სტრატეგიული შეთანხმება იყო.

ექსპერტები საქართველოს ხელისუფლების მიერ "გაზპრომთან" გაფორმებულ ხელშეკრულებაში როგორც პირდაპირ, ასევე ირიბ საფრთხეებს ხედავენ. პირდაპირ საფრთხეებს შორის ექსპერტები ქვეყანაში "გაზპრომის" მიერ მორიგი მონოპოლიური სტრუქტურის შექმნას, გაზის ლიბერალური ბაზრის ჩამოყალიბების შეფერხებას ან შეუძლებლობას და რუსულ ენერგეტიკულ გიგანტებთან შეზრდილი ფინანსური პოლიტიკური ელიტის ჩამოყალიბებას ასახელებენ, რაც, მათი შეფასებით, ხელს შეუშლის პოლიტიკური პროცესების დემოკრატიზაციას და ხელისუფლების რეალურ ცვლას ქვეყანაში.

რაც შეეხება ირიბ საფრთხეებს, ექსპერტი ლია ჯერვალიძე მათ სამხრეთ-კავკასიური მილსადენის (შაჰდენიზის) პროექტის საწინააღმდეგო პოლიტიკაში ხედავს,

გაგრძელება A3 გვერდზე

## ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს

ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო!

გასული 12 თვის მანძილზე უკვე ორჯერ მოგმართეთ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესაძლო დარეგულირებასთან დაკავშირებით. 2002 წლის ივნისში წარმოგიდგინეთ დიასპორის სამშვიდობო გეგმა, რომელიც საქართველოს ფედერაციის ფარგლებში აფხაზი ხალხის პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და ფიზიკურ უსაფრთხოებას გულისხმობს. ივნისში ჩვენი შეხვედრისას, თქვენ კიდევ ერთხელ დაადასტურეთ, რომ აფხაზეთი ისარგებლებდა მაქსიმალური დამოუკიდებლობით საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში და განაცხადეთ, რომ წარმოდგენილ გეგმაზე კონსტრუქციულ რეაგირებას მოახდენდით.

მიუხედავად ყოვლის მომცველი შეთანხმების მიღწევის ორმხრივი სურვილისა, დღემდე აფხაზეთი და საქართველო ჩიხში არიან შესული, ინარჩუნებენ რა სტატუსქვოს. ნათელია, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. მოვიდა დრო, ბოლო მოვუღოთ დებატებსა და დისკუსიებს და საქმეზე გადავიდეთ. ორი წლის შემდეგ, თქვენც და პრეზიდენტი არძინბაც თანამდებობას დატოვებთ. ნუთუ თქვენ დაუშვებთ, რომ ამ კონფლიქტის გადაწყვეტა თქვენს მემკვიდრეებს გადააბაროთ? სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ გაურკვევლობა ხელს შეუწყობს ექსტრემიზმის ზრდასა და ვითარების კიდევ უფრო დაძაბვას. აფხაზური პოლიტიკური ელიტის დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ რუსეთის დახმარებით შესაძლებელი იქნება კონფლიქტის მათთვის მისაღები პირობებით გადაწყვეტა. ჩვენ უნდა გავიგოთ, რომ რუსეთი ხელს შეუწყობს კონფლიქტის გადაწყვეტას მხოლოდ მათთვის მისაღები პირობებით. აფხაზეთი და მისი ინტერესები რუსეთს დიდად არ აღელვებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## რა ღირს პასპორტი და რას გვახდევინებენ

*ანტიკორუფციული ბიურო, რომლის პოზიცია ამ დღეებში საგზაო პოლიციის შეფის კობახიძის გადადგომის საფუძვლად იქცა, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაკავშირებით კვლავ აქტიურობს. ანტიკორუფციული ბიუროს დასკვნით, სახელმწიფო, შინაგან საქმეთა სამინისტროს სახით, საკუთარ მოქალაქეებს, ფაქტობრივად, ოფიციალურად აყაჩაღებს:*

შეგახსენებთ - პირადობის მოწმობის ან პასპორტის გაცემაზე გადასახადი განსაზღვრულია „სახელმწიფო ბაჟის შესახებ" კანონით, რომლის თანახმადაც მოქალაქე პასპორტის გაცემა-შეცვლაზე - 35 ლარს, ხოლო პასპორტის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე - 14 ლარს იხდის, ხოლო პირადობის მოწმობის გაცემა-შეცვლაზე გადასახადი 1,5 ლარს შეადგენს.

ანტიკორუფციული ბიუროს დასკვნით, ეს გადასახადები ბევრად აღემატება სახელმწიფოს მიერ ამ მომსახურებაზე გაწეულ დანახარჯებს, პირადობის მოწმობების შემთხვევაში დანახარჯები 0,437 დოლარს, ხოლო საქართველოს ეროვნული პასპორტების შემთხვევაში - 1,825 დოლარს შეადგენს. ეს მარტივად იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის მოქალაქეების მიერ პირადობის მოწმობისა და პასპორტებისთვის გადასახდელი ოფიციალური ბაჟი მათ რეალურ თვითღირებულებას 15-20-ჯერ აღემატება.

ამიტომაც, ერთ-ერთი რეკომენდაცია არსებული კანონმდებლობის მოწესრიგებას და სახელმწიფო ბაჟის ოდენობის სახელმწიფოს მიერ გაწეულ დანახარჯებთან შესაბამისობაში მოყვანას ითვალისწინებს.

ანტიკორუფციულ ბიუროს მიაჩნია, რომ წინასაარჩევნოდ და მომავალშიც პირადობის მოწმობების გაცემასთან დაკავშირებული ხარჯები სახელმწიფომ უნდა იკისროს. ამისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 150-200 ათასი ლარის გამოყოფაა საჭირო.

მოსაწესრიგებელია შსს-ს იმ რეგიონული განყოფილებების მუშაობა, რომლებიც ვერ ახერხებენ კანონით დადგენილ ვადებში პასპორტების გაცემას, რაც კორუფციულ გარემოს ქმნის.

გაგრძელება A2 გვერდზე

## "ბურჯანაძე-დემოკრატები" თავის "სტრატეგიას" ამზეურებს

*არჩევნების წინ პოლიტიკური პარტიები "პირნათლად იხდიან მოვალეობას" ელექტორატის წინაშე და სახელდახელოდ ქმნიან საეჭვო ღირებულების დოკუმენტს, რომელსაც სახელად "სამოქმედო პროგრამას" არქმევენ. ასეთ "მაკულატურას", როგორც წესი, თითქმის არავინ კითხულობს. საარჩევნო ბლოკმა "ბურჯანაძე-დემოკრატები" განსხვავებული გზა აირჩია. პარლამენტის თავმჯდომარემ და მისმა თანამოაზრეებმა გადაწყვიტეს, სავალდებულო საარჩევნო "ნაშრომის" დაწერის ნაცვლად, ქვეყნის განვითარების კონცეპტუალური ხედვა დეტალურად ჩამოეყალიბებინათ და იგი ერთგვარი სერიალის სახით შეეთავაზებინათ ამომრჩევლისთვის. ამ სერიალის პირველი ნაწილის ("საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია") პრეზენტაცია გუშინ ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა.*

გიორგი ასანიშვილი

"სტრატეგია" ემყარება 8 აგვისტოს ნინო ბურჯანაძის მიერ დეკლარირებულ პრინციპებს. მას საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ამუშავებდნენ ცნობილი მეცნიერები, ექსპერტები და სპეციალისტები, ლადო პაპავას ხელმძღვანელობით. დოკუმენტს მაღალი შეფასება უკვე მისცა ეკონომისტთა ასოციაციამ. მისი ერთ-ერთი თავისებურება ისიც არის, რომ, დასრულების მიუხედავად... საბოლოო სახე არ გააჩნია და მუდმივად განახლების პროცესში იქნება.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები A3 ამბები A4 პროექტი A5 უცხოეთი A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

## ორი სიტყვით

**ერევანი.** სომხეთი, საქართველო და ბულგარეთი ხელს მოაწერენ სამმხრივ შეთანხმებას ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, - იტყობინება პრაიმ-ნიუსის კორესპონდენტი ერევნიდან. სომხეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა აშოტ ქოჩარიანმა სამშაბათს ჟურნალისტებს განუცხადა, რომ შეთანხმება ამის შესახებ მიღწეული იყო პრეზიდენტ რობერტ ქოჩარიანის ბულგარეთში ვიზიტისას 8-9 სექტემბერს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ისანი-სამგორის რაიონს გუშინ შეწყვეტილი ბუნებრივი აირის მიწოდება სამ დღეში აღუდგება. რაიონისთვის გაზის შეწყვეტის მიზეზი გახდა გუშინ ჯავახეთის ქუჩაზე საშუალო წნევის გაზსადენიდან დიდი რაოდენობით ბუნებრივი აირის კანალიზაციის მილებში გაჟონვა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ საგამოფენო ცენტრ "ექსპო-ჯორჯიაში" სოფლის მეურნეობისა და სასურსათო პროდუქციის ოთხდღიანი გამოფენა გაიხსნა. მასში ქართველებთან ერთად ამერიკული, ფრანგული, იტალიური, გერმანული, ავსტრიული, რუსული და თურქული კომპანიებიც მონაწილეობენ. "ექსპო-ჯორჯიას" ამ გამოფენის მოწყობაში დაეხმარა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო, ხოლო უშუალო მონაწილეობა მიიღო ფონდმა „ქართული ხარისხი", რომელიც 25 სექტემბერს საუკეთესო პროდუქციას "ქართული ხარისხის ნიშანს" მიანიჭებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მომავალი წლიდან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის აღება უფასო იქნება, პასპორტების ხარისხი კი გაუმჯობესდება და საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი გახდება. ეს გადაწყვეტილება გუშინ ანტიკორუფციული საბჭოს სხდომამ დახურულ კარს მიღმა მიიღო. როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კახა უგულავამ განაცხადა, ამ გადაწყვეტილებასთან ერთად შს სამინისტროს მიეცა რეკომენდაცია, ანტიკორუფციული ღონისძიებების გატარების მიზნით, განახორციელოს სისტემის კომპიუტერიზაცია, რათა პასპორტების გაცემა არ იყოს დამოკიდებული ერთ კონკრეტულ ჩინოვნიკზე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული "საქართველოს ენერგოუსაფრთხოების" პროგრამის ფარგლებში "გუმათჰესის", "შაორჰესის" და "რიონჰესის" გადაუდებელი, პირველადი რეაბილიტაციის სამუშაოები ერთ თვეში დაიწყება. ამის შესახებ "USAID"-ის კონტრაქტორ კომპანია "PA consulting"-ში განაცხადეს. ამჟამად გამოცხადებულია ტენდერი, რომლის მეშვეობითაც ის კოტრაქტორი ფირმა შეირჩევა, რომელიც ამ სამუშაოებს შეასრულებს. სამუშაოები 7 თვეს გასტანს, რის შემდეგაც ელექტროსისტემას დამატებით 40 მეგავატი სიმძლავრე შეემატება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ლატვიის პარლამენტის თავმჯდომარემ და "მრეწველთა პარტიის" ლიდერმა გოგი თოფაძემ დღეს ლატვიასა და საქართველოს შორის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე დახურულ კარს მიღმა ისაუბრეს. თოფაძემ განაცხადა, რომ შეხვედრაზე საუბარი გამაგრილებელი სასმელების ლატვიაში ექსპორტის შესაძლებლობას და ტურიზმის სფეროში საქართველო-ლატვიას შორის თანამშრომლობას შეეხო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახალხო დამცველის რწმუნებულის რამაზ ნინუას ინფორმაციით, გურჯაანის რაიონის პოლიციელებმა მათ მიერ დაკავებული ვალერი სონღულაშვილი დენის გამოყენებით აწამეს, მისი თქმით, ძირკვათში მცხოვრები სონღულაშვილი, 72 საათის ნაცვლად, პოლიციაში 6 დღე იმყოფებოდა, მას აწამებდნენ და იმ პირების დასახელებას თხოვდნენ, რომლებმაც გურჯაანში ორი კვირის წინათ მკვლელობა ჩაიდინეს.

სონღულაშვილს სხეულზე ექსპერტიზა ჩაუტარეს. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სონღულაშვილის სხეულზე არსებული დაზიანებები ხანდაზმულობით ემთხვევა იმ დროს, როცა ის პოლიციაში იმყოფებოდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის" უახლოეს მომავალში წამების წინააღმდეგ ბრძოლის კიდევ ერთი პროექტის განხორციელებას დაიწყებს. პროექტი წელიწადნახევრის განმავლობაში განხორციელდება და გათვალისწინებულია პოლიციის დროებითი დაკავების იზოლატორის მონიტორინგი. „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის" ხელმძღვანელის ნანა კაკაბაძის თქმით, ადამიანის უფლებები ყველაზე უხეშად სწორედ ამ საკნებში ირღვევა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამოსამართლო სწავლების ცენტრში მოსამართლეების თანაშემწეობის მსურველთათვის 1 ოქტომბრიდან სამთვიანი კურსი გაიხსნება. კურსის გავლა ნებისმიერ იურისტს შეუძლია, თუმცა მათ 350 ლარის გადახდა მოუწევთ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საკვები პროდუქტების უსაფრთხოების შს სამინისტროს სამსახურმა თბილისში ე.წ. ნავთლუღის ბაზრის ტერიტორიაზე არსებული პურის საცხობის შპს „ლაბას" წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ალექსანდრე გეგეჭკორის ინფორმაციით, საცხობში გამოვლენილია სხვადასხვა სახის დარღვევა, კერძოდ, საცხობში წარმოებულ პურ-ფუნთუშეულში ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ სოკოვანი და სტაფილოკოკური ბაქტერიები აღმოჩნდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 60 წლის გურჯაანელი არჩილ მედულაშვილი თბილისის ისან-სამგორის რაიონის პოლიციელებმა გუშინ ძარცვის ბრალდებით დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, წარსულში არაერთხელ ნასამართლევმა მედულაშვილმა მეტროსადგურ „ისანის" მიმდებარე ტერიტორიაზე ლაგოდეხელ 73 წლის შურა ზურაბიშვილს ხელიდან გასტაცა ხელჩანთა, რომელშიც მას ფული და პირადი ნივთები ჰქონდა. **მედია-ნიუსი**

# ვაშინგტონს „საქართველოთი დაღლილობა" სჭირს

პირველი გვერდიდან

ამგვარი პოზიცია დააფიქსირეს საქართველოში არსებული მესამე სექტორის წარმომადგენლებმა ამერიკაში. გია ნოდიას ინფორმაციით, ვაშინგტონის ოფიციალურ წრეებში განაცხადეს, რომ მათ უკვე "საქართველოთი დაღლილობა" სჭირთ: ამ ქვეყანაში სულ კრიზისი და კატასტროფებია, ქართველები სულ დახმარებას და შველას ითხოვენ, თავად კი არაფრის გამკეთებლები არიან. **"90-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველო მოდური ქვეყანა იყო, აქ რეფორმები ტარდებოდა, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ ყველაფერი უარესობისკენ წავიდა,"** - მიუხედავად ამერიკელების ამგვარი დასკვნისა, როგორც ბატონი ნოდია გვამშვიდებს, ვაშინგტონს ჯერ კიდევ შემორჩა ჩვენი ქვეყნის იმედი.

ამავე აზრს იზიარებს თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი გიგა ბოკერია. ბოკერიას ვარაუდით, ვაშინგტონის ყურადღება საქართველოში მიმდინარე საარჩევნო პროცესებისადმი ოდნავადაც არ მოდუნდება, თუნდაც იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ჩვენში დემოკრატია და სტაბილურობა ერთმანეთზეა გადაჯაჭვული: **"დემოკრატიიდან გადახვევის შემთხვევაში საქართველოს მძიმე პერსპექტივა ემუქრება. ამიტომ ვაშინგტონი განახორციელებს სერიოზულ ზეწოლას და მონიტორინგს იმისთვის, რათა საარჩევნო პროცესი ობიექტური და გამჭვირვალე იყოს."**

ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" წარმომადგენლის კახა ლომაიას ინფორმაციით, არჩევნების დღეს საქართველოს ეწვევა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის დელეგაცია ჯონ-მალხაზ შალიკაშვილის ხელმძღვანელობით. ასევე, დაგეგმილია საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის ვიზიტი სენატორ მაკკეინის მეთაურობით. ამერიკის ოთხი სენატორი - ბრაუნბეკი, ბაიდენი, ალენი და მაკკეიკი 2 ნოემბრის არჩევნების შესახებ სენატში სპეციალური განცხადების გაკეთებას აპირებენ.



ილიკო ლომაძის ფოტო

*გიგა ბოკერია, კახა ლომაია და გია ნოდია ამერიკიდან მძიმე შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ, თუმცა იმედი არ გადაუწურავთ.*

# ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს

პირველი გვერდიდან

ამავე დროს, ქართველ პოლიტიკოსთა ერთ ნაწილს აქვს ილუზია, რომ აფხაზეთის დაბრუნება შეიძლება ძალით, ან გაერო-ს მეშვეობით, იმავე სტატუსით, რომელიც მას ომამდე ჰქონდა. კიდევ უფრო არარეალისტურია ბ-ნი ნადარეიშვილის ფანტაზია აფხაზეთში მშვიდობის ძალით მიღწევის თაობაზე. ასეთი შეხედულებები კიდევ უფრო აძლიერებს სოხუმში ომის მომხრეთა პოზიციებს და კიდევ უფრო ართულებს მშვიდობის მიღწევას.

ზემოთ აღნიშნული რეალობების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, მოვიდა დრო, გადავხედოთ სამშვიდობო მოლაპარაკებებისა და სტატუს-ქვოს შენარჩუნების მთელ პროცესს. ბატონო პრეზიდენტო, ცივი ომისა და საბჭოთა კავშირის დაშლის წლებში თქვენ მიიღეთ გადაწყვეტილებები, რომლებიც შესაძლოა, ხშირად არაპოპულარული, მაგრამ პოლიტიკურად აუცილებელი იყო. აფხაზურ-ქართული კონფლიქტი ცივი ომის მიკრომოდელს წარმოადგენს. მშვიდობიანი მოგვარების პროცესი დიდი ხანია, ჩიხშია შესული. ვერც აფხაზეთი და ვერც საქართველო ვერ გაუძლებენ მოუგვარებელი ურთიერთობებისა და გაცრუებული იმედების კიდევ ერთ ათწლეულს. ძლიერი ლიდერები მკვეთრ გადაწყვეტილებებს იღებენ, მძიმე დროში კი მძიმე კომპრომისია აუცილებელი. მოვიდა დრო, საქართველომ კონკრეტულად განსაზღვროს, რას გულისხმობს აფხაზეთის მაქსიმალურ დამოუკიდებლობაში. ამის შემდეგ პასუხისმგებლობა დაეკისრება უკვე აფხაზურ მხარეს, რათა მან რეალურად შეხედოს ვითარებას და პირველად გამოვიდეს რეალური პროგრამით, რომელიც არ არღვევს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

თქვენი პოლიტიკური კარიერის დასასრულს, აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრა კიდევ უფრო განამტკიცებს თქვენს, როგორც შორსმჭვრეტელი სახელმწიფო მოღვაწის, რეპუტაციას. დასასრულს უახლოვდება პრეზიდენტ არძინბას პოლიტიკური კარიერაც. თუ კონფლიქტი მოსაგვარებლად თქვენს მემკვიდრეებს გადაეცა, სამშვიდობო პროცესის მომავალი კიდევ უფრო გაურკვეველი გახდება. ჩვენი ორი დიდი ხალხის მომავალი დამოკიდებულია იმაზე, რას გააკეთებთ ან არ გააკეთებთ თქვენ.

პატივისცემით,

**ინალ კაზანი,**
*"აფხაზური ალიანსის" პრეზიდენტი*



*ინალ კაზანი.*




# პრეზიდენტი თავის კანდიდატებს უფლებას რთავს, ილაპარაკონ მიღწევებზე

პირველი გვერდიდან

თბილისის მთაწმინდის რაიონში კენჭს იყრის ზურაბ ბიბილეიშვილი, მთაწმინდის რაიონის ყოფილი გამგებელი;

ისნის რაიონში - ამავე რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი ყარყარაშვილი;

სამგორის რაიონში - საავიაციო ქარხნის ყოფილი დირექტორი პანტიკო თორდია;

ჩუღურეთის რაიონში - ამავე რაიონის მაჟორიტარი ზეზვა ლულუნიშვილი;

დიდუბის რაიონში - თბილისის მერის მრჩეველი განათლების საკითხებში მანანა ნიკოლაიშვილი;

ნაძალადევის რაიონში - ამავე რაიონის მაჟორიტარი მერაბ სამადაშვილი;

ვაკის რაიონში - ფინანსთა მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილე ლევან ჩრდილელი;

გლდანის რაიონში - პარლამენტარი გურამ შარაძე.

საბურთალოზე, როგორც ვთქვით, ჯერჯერობით კანდიდატურა ვერ შეირჩა რადგან, შესაძლო, კანდიდატმა ელგუჯა მეძმარიაშვილმა მაჟორიტარობაზე უარი თქვა. ავთანდილ ჯორბენაძის ინფორმაციით, თბილისის მერი ვანო ზოდელავა საბურთალოს რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს უახლოეს დღეებში წარმოადგენს.

გარდა თბილისის მაჟორიტარებისა, სახელისუფლებო ბლოკმა წარადგინა კანდიდატები საქართველოს თითქმის ყველა რაიონში. ამთგან ცნობილი სახელებია: ლაშა ნაცვლიშვილი (უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე), ლაშა ნარჩემაშვილი (შს მინისტრის ძმა), გია მეფარიშვილი (ყოფილი გენერალური პროკურორი), ბორის სარალიძე (საგზაო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე), თენგიზ ჯგუშია (პარლამენტარი), ივერი ჭელიძე (პარლამენტარი), ლევან მამალაძე (პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული ქვემო ქართლში), ჯონი ფირცხალაიშვილი (თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი) და სხვები.

# რუსული ენერგოგიგანტები და ფარული საფრთხეები

პირველი გვერდიდან

რასაც ჩვენი ხელისუფლება არა მარტო "გაზპრომის", არამედ "რაო ეეს როსიის" საქართველოში შემოყვანით ახორციელებს: **"ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ "რაო ეეს როსიის" შემოსვლა საქართველოში და საქართველოდან თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტის განზრახვა ირიბ საფრთხეს შეიცავს შაჰდენიზის პროექტის მიმართ."** ექსპერტის შეფასებით, თუ "რაო" დაასწრებს და თურქეთის ბაზარზე ელექტროენერგიის ექსპორტს მილსადენის ძალაში შესვლამდე დაიწყებს, ეს შაჰდენიზისთვის, შესაძლოა, ძლიერი დარტყმა აღმოჩნდეს, რადგან ამ მილსადენით მიწოდებული გაზის ნაწილი თურქეთს გაზის თბოელექტროსადგურებზე დენის გამომუშავებისთვის სჭირდება.

**"გაზპრომის" მიზანს, სავარაუდოდ, ირანული გაზის კავკასიის გავლით ევროპისაკენ ტრანსპორტირება წარმოადგენს,** - მიიჩნევს ლია ჯერვალიძე, - **რისთვისაც მას კავკასიის მილსადენების ინფრასტრუქტურაზე კონტროლის მოპოვება სჭირდება."**

ექსპერტი დევი ხეჩინაშვილი მიიჩნევს, რომ "გაზპრომთან" გაფორმებული ხელშეკრულების გამო, აზერბაიჯანული გაზი კარგავს როგორც ქართულ, ასევე სომხურ ბაზარს. რაც შეეხება აზერბაიჯანს, იქ "გაზპრომი" ახლანდელ მიმწოდებელს – "იტერას" ძლიერ ავიწროებს, რისი შემდეგი ეტაპიც, შესაძლოა, მისი "აზერიგაზთან" შეთანხმება იყოს. **"თუ ეს მოხდა, "გაზპრომი" საკუთარი კონტროლის ქვეშ აიყვანს აზერბაიჯანის გაზის მთელ ინფრასტრუქტურას, შედეგად კი კავკასიური გაზსადენების ერთპიროვნული მაკონტროლებელი გახდება."**

ამ აზრს ეთანხმება "პი-ეი კონსალტინგის" ექსპერტი პროფესორი თემურ გოჩიტაშვილიც. მისი აზრით, თუ "გაზპრომმა" ირანული გაზის საქართველოს გავლით ტრანსპორტირება დაიწყო, ეს ძალიან კარგი იქნება, მაგრამ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ გამოიყენებს ამას ქვეყნის საკეთილდღეოდ ხელისუფლება. **"თუ ეს ასე მოხდა, შაჰდენიზის მილსადენი დაკარგავს კავკასიის ბაზარს, რადგან მთავრობამ "გაზპრომის" შემოყვანის არასწორი ფორმა აირჩია,"** – მიიჩნევს ექსპერტი.

**"იმას, რომ "გაზპრომმა" გაზი მოგვაწოდოს, არ სჭირდება სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მიერ ხელმოწერილი 25-წლიანი სტრატეგიული თანამშრომლობის შეთანხმება. იმ აზრს, რომ რუსეთი ენერგეტიკული დერეფნების დაუფლებას ცდილობს, იზიარებენ "უოლ სტრიტ ჯორნალის" ექსპერტებიც,"** – აცხადებს "პი-ეს-აი ჯორჯიას" ხელმძღვანელი ირაკლი არეშიძე.

ექსპერტი გია ხუხაშვილი კი მიიჩნევს, რომ რუსეთს სურს, დსთ-ს მასშტაბით ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნით დაიკმაყოფილოს უფროსი ძმის ამბიციები: **"ამის გამო ის ეკონომიკას პოლიტიკური მიზნებით იყენებს. სახეზეა მის მიერ სატელეკომუნიკაციო სფეროს - "ჯეოსელის", "ტელეკომის", "ელექტროკავშირის" მიმართ გამოვლენილი ინტერესი. ამას ემატება უმთავრესი – ენერგეტიკა. მისი შემდეგი ინტერესი – პორტებია და რა დარჩა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისაგან?"**

პოლიტოლოგმა ვახტანგ მაისაიამ კი საქართველოში შექმნილი ვითარება "არაჯანსაღ სიტუაციად" შეაფასა: **"ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი ბაზარი მონოპოლიზირებულია. ეს იმიტომ ხდება, რომ ქვეყანას ეკონომიკური პოლიტიკა არა აქვს. საქართველოში შესაბამისი კანონმდებლობის უქონლობა ხელს უწყობს იმას, რომ მძლავრი ოლიგოპოლისტი "გაზპრომი" აქ, ფაქტობრივად, ველურ პირობებში შემოდის."**

ქართველი ექსპერტები მათ მიერ გამოვლენილი საფრთხეების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას საქართველოში მოქმედი ყველა პოლიტიკური პარტიისათვის აპირებენ. "პი-ეს-აი ჯორჯია" კი ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილი შეხვედრების გაგრძელებას მომავალშიც გეგმავს.

# აფხაზი სეპარატისტები დივერსანტებს ეძებენ

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი გივი აგრბა გუშინ კვლავ თავგამოდებით ირწმუნებოდა, რომ გალისა და გულრიფშის რაიონებში ქართული დივერსიული ჯგუფები იმყოფებიან, რომლებიც აფხაზებზე თავდასხმებს გეგმავენ. **"ოპერატიული არხებით დასტურდება, რომ ორი ქართული დივერსიული ჯგუფი, რომლის წევრებიც ცოტა ხნის წინ ბორჯომის მახლობლად გადიოდნენ მომზადებას, უკვე აფხაზეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან და ჩვენს წინააღმდეგ დივერსიული აქტების განხორციელებისთვის ემზადებიან,"** - ასეთი გახლავთ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის ოფიციალური განცხადება. სხვათა შორის, აფხაზებმა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განლაგებულ რუს სამშვიდობოებს უკვე მისცეს სპეციალური მითითება, რომლის მიხედვითაც სამშვიდობოებმა ორი ქართული "დივერსიული" ჯგუფის გაუვნებელყოფა უნდა უზრუნველყონ.

**"ქართველი დივერსანტები ტყის მასივებს აფარებენ თავს, რაც მათი ძებნისა და დევნის ოპერაციას ართულებს,"** - აცხადებენ აფხაზები და ირწმუნებიან, რომ ამ ჯგუფების მეთაურების ვინაობაც დადგენილი აქვთ, თუმცა მათ გვარსახელებს არ ასახელებენ.

**"დივერსანტების მიზანია პროვოკაციების მოწყობა 30 სექტემბრისათვის, როდესაც აფხაზეთში დამოუკიდებლობის მე-10 წლისთავის ზეიმი უნდა აღვნიშნოთ,"** - აცხადებს აგრბა და იმასაც ამატებს, რომ დივერსანტების უკან ქართული ძალოვანი უწყებები დგანან, თუმცა, ეს უწყებები იგნორირებას უკეთებენ აფხაზური მხარის ცნობებს და მათ პროვოკაციულს უწოდებენ.

**"აფხაზების ამ განცხადებაში ახალი არაფერია. ასეთი განცხადებები ყოველ წელს, აფხაზთა ქართველებზე გამარჯვების ზეიმის მოახლოებასთან დაკავშირებით კეთდება. სწორედ ასეთი, წინასწარ დაგეგმილ-გათვლილი განცხადება გახდება მიზეზი და საბაბი იმისა, რომ აფხაზებმა კონფლიქტის ზონაში სიმშვიდის შესანარჩუნებლად დამატებითი ძალები შეიყვანონ. ამ ძალებს გამწმენდ ძალებს დაარქმევენ, სინამდვილეში კი ეს ყველაფერი გათვლილია იმაზე, რომ გალის რაიონის ქართული მოსახლეობა გაძარცვონ და დაარბიონ. ასეთი გახლავთ აფხაზების პრაქტიკა,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას აფხაზეთის უშიშროების მინისტრმა ლევან კიკნაძემ.

*24 საათი*

# ახალგაზრდა მემარჯვენეების ფორუმი

გუშინ სასტუმრო "მერიოტში" გაიხსნა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მემარჯვენე ახალგაზრდობის ფორუმი, რომლის მასპინძლები ქართველი "ახალგაზრდა მემარჯვენეები" არიან.

ქართველებთან ერთად ფორუმში მონაწილეობას იღებენ სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, უკრაინის, ბელორუსის, მოლდოვას, ლატვიის, ესტონეთის, პოლონეთის, ჩეხეთის, უნგრეთის, სლოვენიის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა და თურქეთის მემარჯვენეთა ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლები.

სამი დღის მანძილზე ახალგაზრდა მემარჯვენეები იმსჯელებენ ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორიცაა: სამართლიანი არჩევნების პრობლემა საქართველოში, ახალგაზრდული პოლიტიკური ორგანიზაციების როლი საარჩევნო კამპანიაში და დედაპარტიების წინასაარჩევნო ღონისძიებები, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მემარჯვენე-ცენტრისტული ახალგაზრდული ორგანიზაციების საერთაშორისო ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია და სხვ.

ფორუმის პირველ დღეს ახალგაზრდა პოლიტიკოსებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა "ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ. დღეს "ახალი მემარჯვენეების" ოფისში გაიმართება საქართველოს მემარჯვენე სტუდენტთა კავშირის დაფუძნების ცერემონია, ხოლო ხვალ დაგეგმილია მემარჯვენე ახალგაზრდობის საინფორმაციო მხარდაჭერის ქსელის დაარსება.

**24 საათი**

## ორი სიტყვით

ამ პოსტს ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი, იააპ დე ჰუპ შეფერი დაიკავებს. მის კანდიდატურას ალიანსის ყველა ქვეყანამ დაუჭირა მხარი. მოვალეობების შესრულებას ახალი გენერალური მდივანი 1 იანვრიდან შეუდგება. ამ პოსტზე იგი ლორდ რობერტსონს შეცვლის. შეფერი მესამე ჰოლანდიელია, რომელიც ნატო-ს გენერალური მდივანი გახდა. იგი მისაღები კანდიდატურა აღმოჩნდა როგორც ერაყის ომის მომხრეებისათვის, ისე მოწინააღმდეგეებისათვის. ამ ორ ბანაკს შორის დაპირისპირებამ ნატო კინაღამ დაშლამდე მიიყვანა.

ჰოლანდია მხარს უჭერდა აშშ-ს სამხედრო კამპანიას ერაყში, მაგრამ ისე, რომ ამით არ გაუფუჭებია ურთიერთობები ომის მოწინააღმდეგე ბანაკთან, რომლის სათავეშიც საფრანგეთი და გერმანია იდგნენ. "ჩვენი აზრით, შეფერი იდეალური კანდიდატურაა ამ პოსტზე, – განაცხადა აშშ-ს ელჩმა ნატო-ში ნიკოლას ბერნსმა, - მას კარგი კავშირები აქვს აშშ-სა და კანადაში და ამავე დროს დიდი პატივისცემით სარგებლობს ევროპაშიც. ის პრაგმატული ადამიანია, რომელსაც საქმის კეთება შეუძლია. დარწმუნებული ვართ, ის წარმატებებს მიაღწევს".

■ ■ ■

აშშ-ს ყოფილმა სენატორმა ილინოისის შტატიდან, შავკანიანმა ამერიკელმა ქალბატონმა კერო მოზლი ბრაუნმა ოფიციალურად განაცხადა თავისი სურვილის შესახებ, მონაწილეობა მიიღოს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში. ის ამერიკის ისტორიაში პირველი ქალი იქნება, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას. ის ისტორიაში უკვე შესულია, როგორც პირველი შავკანიანი ქალი სენატორი. დამკვირვებლები აცხადებენ, რომ მოზლის პრეზიდენტად გახდომის არანაირი შანსი არ გააჩნია. უფრო მეტიც, ის არჩევნებში მონაწილეობისათვის პირველ ეტაპზევე ვერ მიიღებს დემოკრატიული პარტიის მხარდაჭერას. ამასთანავე, ექსპერტები თვლიან, რომ ქალბატონი მოზლი ამაში სავსებით დარწმუნებულია. მის მიზანს მეორე შავკანიანი პრეტენდენტისათვის – ელ შარპტონისათვის ხმების წართმევა წარმოადგენს.

■ ■ ■

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია "ჰუმან რაითს უოჩმა" აშშ-ს პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს ოფიციალური წერილით მიმართა. ორგანიზაცია თეთრი სახლის მეთაურს თხოვს, რათა ამ უკანასკნელმა ავღანელ საველე მეთაურებს ფინანსური დახმარება და იარაღის მიწოდება შეუწყვიტოს. საუბარია იმ საველე მეთაურებზე, რომლებიც აცხადებენ, რომ "ალ-ქაიდას" და "თალიბანის" რაზმების წინააღმდეგ იბრძვიან და რომელთაც აშშ-ს არმია დასახმარებლად იყენებს. "ჰუმან რაითს უოჩი" აცხადებს, რომ ერთდროული მხარდაჭერის აღმოჩენა აღნიშნული საველე მეთაურებისა და ჰამიდ კარზაის მთავრობისათვის ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაციას უწყობს ხელს, რაც საბოლოო ჯამში, ავღანეთში ადამიანის ისედაც დარღვეულ უფლებებს კიდევ უფრო ლახავს.

ამასთანავე, ორგანიზაცია თხოვნით მიმართავს ავღანეთის პრეზიდენტს ჰამიდ კარზაის, რათა მან ქალთა, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა უზრუნველყოს.

# დაპირისპირება ერაყის მომავლის გარშემო გრძელდება

პირველი გვერდიდან


პოლ ბრემერმა (მარჯვნივ) ერაყის აღსადგენად საჭირო თანხები ზუსტად გადაითვალა.

გუშინვე ასამბლეის წინაშე წარსდგნენ აშშ-ს და საფრანგეთის პრეზიდენტები, რომელთა შორისაც უთანხმოებამ გლობალური და ბევრისათვის საგანგაშო ხასიათიც კი შეიძინა.

დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, რაც ვაშინგტონმა გაერო-ს უშიშროების საბჭოში ახალი რეზოლუციის პროექტი წარადგინა. აშშ-ს ინიციატივით ერაყში საერთაშორისო სამხედრო ძალები უნდა განლაგდნენ, თუმცა, მათი სარდლობის და ქვეყნის გაკონტროლების უმთავრეს როლს კვლავ აშშ შეასრულებს. მართალია, ერაყის მართვის საკითხებში გაერო-ს ფუნქციები მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა, მაგრამ ეს ფუნქციები რეკონსტრუქციის და არჩევნების საკითხებით იქნებოდა შემოსაზღვრული.

როგორც მოსალოდნელი იყო, აშშ-ს აღნიშნულ პოზიციას ოფიციალური პარიზის ნეგატიური რეაქცია მოჰყვა.

პრეზიდენტმა შირაკმა ანგლო-ამერიკულ პროექტს ფრანგული გეგმა დაუპირისპირა, რომლის თანახმადაც, ერაყში სასწრაფოდ უნდა ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი მთავრობა, მიღებულ უნდა იქნეს კონსტიტუცია და ჩატარდეს საყოველთაო არჩევნები. ამისათვის, ფრანგული გეგმა საკმაოდ მოკლე ვადებს ითვალისწინებს, რაც ვაშინგტონისათვის აბსოლუტურად მიუღებელია. სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის განცხადებით, ერაყში არსებული თანამედროვე პირობების გათვალისწინებით, დამოუკიდებელი ხელისუფლებისათვის ქვეყნის მართვის სადავეების გადაცემა საკითხისადმი არარეალისტური მიდგომაა.

საფრანგეთის პოზიცია კი სავსებით ნათელი და გასაგებია. მისი არსი ის არის, რომ საფრანგეთი ახლა გამარჯვებულის და მართალი ქვეყნის პოზიციიდან საუბრობს. პარიზი თავის დროზე ერაყში საომარი მოქმედების დაწყებას ეწინააღმდეგებოდა და შედეგებზე პასუხისმგებლობას აშშ-ს აკისრებდა. ერაყში ვითარების უკიდურესმა გართულებამ კი აშშ აიძულა, დახმარებისათვის კვლავ საერთაშორისო თანამეგობრობისათვის და გაეროსათვის მიემართა. თუმცა, ვაშინგტონი ერაყზე კონტროლის სხვა ქვეყნებისათვის გადანაწილებას არც კი ფიქრობს.

პრეზიდენტმა ბუშმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ ერაყში შეჭრა ერთადერთი და სწორი გადაწყვეტილება იყო. გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე გამოსვლისას, ჯორჯ ბუშმა საერთაშორისო თანამეგობრობას ერაყის აღდგენის საკითხში ერთობლივი მონაწილეობისაკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა, თუმცა, დამკვირვებელთა თქმით, ვაშინგტონმაც და ლონდონმაც კარგად იციან, რომ გაერო-ს ქვეყნების მიერ ერაყში გაგზავნილი სამხედრო კონტინგენტის რაოდენობა უმნიშვნელო და მხოლოდ სიმბოლური იქნება.

ერაყში დამატებითი შეიარაღებული საერთაშორისო ძალების შეყვანის დროს, ძირითადი აქცენტი პაკისტანის და თურქეთის მთავრობებზე კეთდება. ორივე სახელმწიფო აშშ-ს სტრატეგიულ მოკავშირედ ითვლება. თუმცა, არც ერთს ერაყში ჯარების გაგზავნა ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს. პაკისტანის პრეზიდენტის ფერვეზ მუშარაფის თქმით, რომელსაც თეთრი სახლი ამ საკითხში ერთ-ერთ მთავარ მოკავშირედ მიიჩნევს, ერაყში პაკისტანის შეიარაღებული ნაწილების გაგზავნა ქვეყნის შიგნით დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს.

რაც შეეხება თურქეთს, აშშ მის "მოსათაფლად" 8,5 მილიარდ დოლარს გამოყოფს. ამ პროგრამას სახელწოდებაც შესაბამისი აქვს: **"დახმარება ერაყში თანამშრომლობისათვის."** თუმცა, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აბდულა გული აცხადებს, რომ ანკარა ერაყის ჩრდილოეთში ქურთული რეგიონებისადმი აშშ-ს პოლიტიკით უკმაყოფილოა.

გენერალურ ასამბლეაზე კი მთავარი დებატები მაინც ერაყის მოწყობის ფრანგულ და ამერიკულ მოდელებს შორის გაიმართება.

**ჟაკ შირაკის გეგმა შემდეგნაირად გამოიყურება:**

პირველი ეტაპი: ერაყის მმართველი საბჭოსათვის ხელისუფლების სადავეების სიმბოლური გადაცემა;

მეორე ეტაპი: წლის ბოლომდე კონსტიტუციის მიღება;

მესამე ეტაპი: პირველი ეტაპიდან ცხრა თვეში საყოველთაო არჩევნების ჩატარება და ერაყის არჩეული დამოუკიდებელი მთავრობისათვის ხელისუფლების რეალურად გადაცემა.

ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ს პრეზიდენტის თანაშემწის კონდოლიზა რაისის განცხადებით, პარიზის გეგმა ამ ეტაპზე არარეალიზებადია.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არავინ იცის, თუ რა შედეგებით დასრულდება გენერალური ასამბლეის სესია (პირველი შედეგები დღეს გახდება ცნობილი), აშშ-მ უკვე შეიმუშავა ერაყის რეკონსტრუქციის და აღდგენის გეგმა. როგორც ცნობილია, პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა კონგრესს ავღანეთსა და ერაყში ვითარების ნორმალიზებისათვის 87 მილიარდი ამერიკული დოლარის გამოყოფა სთხოვა, საიდანაც, 20 მილიარდი დოლარი ერაყის რეკონსტრუქციას მოხმარდება, ხოლო 67 მილიარდი დოლარი კი ორივე ქვეყანაში სამხედრო და ანტიტერორისტულ ოპერაციებზე დაიხარჯება. ერაყში აშშ-ს დროებითი ადმინისტრაციის მეთაურმა პოლ ბრემერმა უკვე მოამზადა 57-გვერდიანი დოკუმენტი, რომელიც ერაყის დანგრეული ინფრასტუქტურის აღდგენას შეეხება. თანხების განაწილება დოკუმენტში შემდეგნაირად არის გათვლილი:

2,9 მილიარდი დოლარი – ერაყის დანგრეული ქალაქების აღდგენისათვის.

150 მილიონი დოლარი – პოლიციის, სახანძრო და სხვა აუცილებელი სამსახურების შექმნისათვის.

9 მილიონი დოლარი – ერაყის პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციისათვის.

30 მილიონი დოლარი – 5 ათასი სამხედრო მოსამსახურისათვის ინგლისური ენის შემსწავლელი კურსების ორგანიზება.

1 მილიონი დოლარი – მუზეუმის და საინფორმაციო ცენტრის შექმნა, სადაც მსურველებს შესაძლებლობა ექნებათ, სადამის რეჟიმის სისასტიკის ამსახველ დოკუმენტურ ფაქტებს გაეცნონ.

100 მილიონი დოლარი – იმ ასამდე მოწმის და მათი ოჯახის წევრების დაცვა და, საჭიროების შემთხვევაში, საზღვარგარეთ გამგზავრება, რომლებმაც ერაყის ყოფილი რეჟიმის და ტერორისტული ჯგუფების წინააღმდეგ ჩვენებები მისცეს.

67 მილიონი დოლარი – ერაყის ამჟამინდელი ხელისუფლებისათვის ოცი ათასი მცველის მომზადება და შენახვა.

150 მილიონი დოლარი – 500 ექსპერტის მუშაობისათვის, რომლებიც ერაყის ყოფილი რეჟიმის მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულებს გამოიძიებენ.

99 მილიონი დოლარი – 26 ციხის მშენებლობისა და მოდერნიზაციისათვის.

55 მილიონი დოლარი – ნავთობსაბადოებზე სარემონტო სამუშაოების ჩატარებისათვის.

130 მილიონი დოლარი – საირიგაციო და საკანალიზაციო სისტემების აღდგენისათვის.

125 მილიონი დოლარი – რკინიგზის ქსელის მშენებლობისათვის.

100 მილიონი დოლარი – საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის.

150 მილიონი დოლარი – ბასრაში ახალი საბავშვო საავადმყოფოს ასაშენებლად.

# რუსეთი და ჩინეთი უზბეკეთში ანტიტერორისტულ ბაზას ქმნიან

შვიდწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციამ, როგორც იქნა, მიიღო გადაწყვეტილება ანტიტერორისტული ცენტრის შექმნის შესახებ. ცენტრის ადგილსამყოფელად უზბეკეთი შეირჩა.

ეს გადაწყვეტილება რუსეთის, ჩინეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, უზბეკეთისა და ტაჯიკეთის პრემიერ-მინისტრების შეხვედრაზე მიიღეს, რომელიც გუშინ ჩინეთში გაიმართა.

ორგანიზაციის წევრებმა გადაწყვიტეს, შთო-ს ფარგლებში ეკონომიკური თანამშრომლობის დაწყებაც, რაც საბოლოოდ თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნით უნდა დასრულდეს.

"მე ძალიან კმაყოფილი ვარ შეხვედრის შედეგებით. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შთო განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. ეკონომიკური თანამშრომლობის წახალისება ახლა ორგანიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იქნება," – განაცხადა ჩინეთის პრემიერ-მინისტრმა ვენ ძიაბაომ. ჩინური პრესის თანახმად, თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის იდეა სწორედ მას ეკუთვნის.

შთო 1996 წელს ჩამოყალიბდა როგორც ორგანიზაცია, რომელსაც სასაზღვრო დავების გადაჭრისათვის უნდა შეეწყო ხელი. 2001 წელს უზბეკეთის მიერთების შემდეგ, ორგანიზაციამ ანტიტერორისტული ელფერი შეიძინა.

დასავლელი დიპლომატები თავიდანვე შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს რუსულ-ჩინურ-შუააზიურ დიპლომატიურ მანევრებს. ისინი შიშობენ, რომ პეკინმა და მოსკოვმა ეს ორგანიზაცია შუა აზიიდან დასავლეთის გაძევების მიზნით ჩაიფიქრეს.

თუმცა, შანხაის ექვსეულს, ჯერჯერობით, ბევრი არაფრით გამოუჩენია თავი. "ჯერჯერობით მათ ბევრი არაფერი გაუკეთებიათ," – განუცხადა როიტერს ანონიმმა დასავლელმა დიპლომატმა.

აგვისტოში, ექვსეულმა პირველი ერთობლივი სამხედრო წვრთნები გამართა. ისინი ჩინეთში ჩატარდა. ექსპერტების განცხადებით, შუა აზიასა და რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობით, ჩინეთს იმედი აქვს, რომ მუსულმანი უიღურების სეპარატისტული მოძრაობის ალყაში მოქცევას შეძლებს.

*როიტერი*

# ვაშინგტონს იმიჯის პრობლემა უდგას

"ანტი-ამერიკანიზმი საფრთხის ქვეშ აყენებს ამერიკის უშიშროებას და მნიშვნელოვნად ამცირებს მისი დიპლომატიის ეფექტურობას," – ნათქვამია ამერიკელი ანალიტიკოსების მიერ ახლახან გამოქვეყნებულ მოხსენებაში.

მსოფლიო მასშტაბით "მზარდი ანტი-ამერიკანიზმი უზარმაზარი პრობლემაა, რომელიც სასწრაფოდ გადაჭრას საჭიროებს," – ნათქვამია "ნიუ-იორკის საგარეო ურთიერთობათა საბჭოს" მიერ მომზადებულ სპეციალურ დოკუმენტში.

საბჭოს პრეზიდენტის ლესლი გელბის აზრით, ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის გაუარესება, პირველ რიგში, ერაყის ომს უკავშირდება. "ჩვენი გამარჯვება ერაყში ძალზე შთამბეჭდავი იყო, მაგრამ რას მოვიგებთ ამით, თუ საერთაშორისო საზოგადოების კეთილგანწყობას დავკარგავთ?" - კითხულობს იგი.

ექსპერტთა განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ამერიკის რეპუტაცია ძალიან სწრაფად უარესდება. თუ 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, აშშ-ს თითქმის მთელი მსოფლიო თანაუგრძნობდა, ორი წლის შემდეგ, ამ თანაგრძნობიდან თითქმის არაფერი დარჩა.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ამერიკელებზე ყველაზე ცუდი შეხედულება არაბებს აქვთ. არაბები აკრიტიკებენ ამერიკას ისრაელის უპირობო მხარდაჭერისა და პალესტინელი ხალხის ბედ-იღბლისადმი უყურადღებობის გამო.

ბოლო ხანს იმიჯთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები გაუჩნდა ამერიკის პრეზიდენტსაც. სიენენ/იუესეითუდეი/გელაპის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ბუშის საქმიანობას პრეზიდენტის პოსტზე ამერიკელთა მხოლოდ 46 პროცენტი იწონებს. მარტში ეს მაჩვენებელი 71 პროცენტს შეადგენდა. მაშინ ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ მომავალ არჩევნებს ბუში ოფლის დაუღვრელად მოიგებდა.

მაგრამ, ახლა ამაში დარწმუნებული არავინ არის. მით უმეტეს, რომ დემოკრატების ამომავალი ვარსკვლავის, უესლი კლარკის რეიტინგებმა უკვე პრეზიდენტისას გადააჭარბა. ნატო-ს ყოფილი მთავარსარდლის საქმიანობას გამოკითხულთა 48 პროცენტი იწონებს. განსხვავება, ჯერჯერობით, უმნიშვნელოა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ კლარკმა თავისი კამპანია მხოლოდ ერთი კვირის წინ დაიწყო.

# უცხოელი მოქალაქეები მძევლად აიყვანეს

გუშინ საინფორმაციო სააგენტოებმა საუდის არაბეთის სამხრეთში მდებარე ერთ-ერთ საავადმყოფოში მძევლების აყვანის შესახებ გაავრცელეს ცნობა. მძევლების უმრავლესობა უცხოელი მოქალაქეები იყვნენ. თუმცა, ყატარის არაბული ტელეკომპანია "ალ-ჯაზირას" ინფორმაციით, სპეცსამსახურების მიერ განხორციელებული შტურმის შედეგად, მძევლები გათავისუფლებულები არიან.

საუდის არაბეთის ტელევიზიის ცნობით, შტურმის დროს ერთი პოლიციელი და სამი ტერორისტი დაიღუპა. თვითმხილველები კი იტყობინებიან, რომ შეტაკებას, სულ მცირე, ორი პოლიციელის სიცოცხლე შეეწირა. **"ყველაფერი დასრულებულია. ორი პოლიციელი მკვდარია. უკვე არიან დაპატიმრებულებიც, რომელთა შორისაც ერთი - საუდის არაბეთის მოქალაქეა. მასზე ძებნა იყო გამოცხადებული,"** - განუცხადა სააგენტო "როიტერის" კორესპონდენტს საუდის არაბეთის ხელისუფლების წარმომადგენელმა.

საავადმყოფო, რომელზედაც თავდასხმა მოხდა, წითელი ზღვის სანაპიროზე ქალაქ ჯიზანთან მდებარეობს.

ჯერჯერობით გაურკვეველია, უკავშირდება თუ არა ეს თავდასხმა და მძევლების აყვანა საუდის არაბეთში ისლამისტი ტერორისტების მოქმედებას, რომელთა ტერაქტებსაც ა.წ. მაისში ქვეყნის დედაქალაქში 35 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

სააგენტო "ასოშეიტედ პრესის" ცნობით, მძევლების აყვანას წინ უსწრებდა სპეცსამსახურთა მიერ განხორციელებული რეიდი საავადმყოფოსთან მდებარე ფერმაში, სადაც პოლიციის ინფორმაციით, ისლამისტი ტერორისტები იმყოფებოდნენ.




აქცია ძალაშია პროკრედიტ ბანკის ყველა ფილიალსა და განყოფილებაში 2003 წლის 15 დეკემბრამდე

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

პროკრედიტ ბანკს მოაქვს შუქი!

ყოველი 21-ე, რომელიც 15 დეკემბრამდე გახსნის დეპოზიტს პროკრედიტ ბანკში (ყოფილი ემ-ბი-ჯი ბანკი) მიიღებს შესანიშნავ საჩუქარს, ხოლო ყოველი მე-200 საჩუქრად მიიღებს გენერატორს. დეპოზიტის მინიმალური თანხა შეადგენს 40 ლარს

ცენტრალური ფილიალი, 0112 თბილისი, თამარ მეფის გამზ. 18, ტელ: (995 32) 20-16-16, ფაქსი: (995 32) 77-96-11, central@procreditbank.ge

ვაკის განყოფილება, 0179 თბილისი, [illegible], ტელ: (995 32) 25-28-06, ფაქსი: (995 32) 25-28-07, vake@procreditbank.ge

საბურთალოს განყოფილება, 0177 თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 46, ტელ: (995 32) 20-17-17, ფაქსი: (995 32) 20-17-18, saburtalo@procreditbank.ge

სადგურის განყოფილება, 0112 თბილისი, [illegible] 3/32, ტელ: (995 32) 92-16-16, ფაქსი: (995 32) 77-96-11, stationsquare@procreditbank.ge

ქუთაისის განყოფილება, 4600 ქუთაისი, [illegible] ქ. 4, ტელ: (995 231) 4-87-05, kutaisioutlet@procreditbank.ge

ზუგდიდის განყოფილება, 2100 ზუგდიდი, [illegible] ქ. 1, ტელ: (995 215) 5-11-23, ფაქსი: (995 32) 93-43-74, zugdidi@procreditbank.ge

გორის ფილიალი, 1400 გორი, ჭავჭავაძის ქ. 10, ტელ: (995 270) 2-16-09, 7-30-64, ფაქსი: (995 32) 33-46-57; 33-46-58, gori@procreditbank.ge

მარნეულის განყოფილება, 3000 მარნეული, [illegible] ქ. 3, ტელ: (995 257) 2-16-00; 2-16-50, ფაქსი: (995 32) 94-31-36, marneuli@procreditbank.ge

გლდანის ფილიალი, 0167 თბილისი, ომარ ხიზანიშვილის ქ. 1, ტელ: (995 32) 57-01-01, ფაქსი: (995 32) 57-10-01, gldani@procreditbank.ge

ვარკეთილის ფილიალი, 0182 თბილისი, [illegible], ტელ: (995 32) 76-44-82, ფაქსი: (995 32) 76-44-81, varketili@procreditbank.ge

ლილოს განყოფილება, 0115 თბილისი, კახეთის გზატკეცილი 112, ტელ: (995 32) 77-96-35, ფაქსი: (995 32) 77-96-36, lilo@procreditbank.ge

ქუთაისის ფილიალი, 4600 ქუთაისი, თამარ მეფის ქ. 85, ტელ: (995 231) 4-14-14, ფაქსი: (995 231) 4-51-64, kutaisi@procreditbank.ge

ფოთის ფილიალი, 4400 ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. 23, ტელ: (995 293) 28-28-5; 28-28-3, ფაქსი: (995 293) 28-28-4, poti@procreditbank.ge

ბათუმის ფილიალი, 6000 ბათუმი, [illegible] ქ. 18, ტელ: (995 222) 7-24-20, ფაქსი: (995 222) 7-19-54, batumi@procreditbank.ge

ბათუმის განყოფილება, 6000 ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. 10, ტელ: (995 222) 7-74-19, ფაქსი: (995 222) 7-74-19, batumioutlet@procreditbank.ge

ქობულეთის განყოფილება, 6201 ქობულეთი, დ. აღმაშენებლის ქ. 2, ტელ/ფაქსი: (995 256) 66-430, kobuleti@procreditbank.ge



**პროექტი "ქართული სახლი"**
**კონკურსი - "ქართული დიზაინი"**

პროექტ "ქართულის სახლის" ეგიდით, 24 სექტემბერს, 15 საათზე, ღია ცის ქვეშ მუზეუმში გაიმართება კონკურსის "ქართულის დიზაინი" შედეგების შეჯამება და გამარჯვებულების საზეიმო დაჯილდოვება.

**კონკურსის საპრიზო ფონდია:** **I** პრემია - 4000 ლარი
- **II** პრემია (ორი) - 2000 ლარი
- **III** პრემია (სამი) - 1000 ლარი
- კონკურსის ჟიურის თავჯდომარეა **გივი მეტრეველი**.
- დაწესებულია სპეციალური პრიზი - 500 ლარი, რომლის თაობაზე გადაწყვეტილებას ჟურნალისტების ალტერნატიული ჟიური მიიღებს.

**კონკურსის ორგანიზატორები:**
- კომპანია "არსი"
- სტუდია "ორი"

**კონკურსის სპონსორები:**
TBC - ბანკი, GPI ჰოლდინგი, კომპანია "არსი", GGMW კომპანია, სტუდია "ორი", კომპანია "ორრი", "რუსთავი 2" და ვალერი გელაშვილი

**საინფორმაციო მხარდაჭერა:**
გაზეთები - "24 საათი", "დილის გაზეთი", "ახალი ეპოქა", "რეზონანსი".
ჟურნალები: "გზა", "თბილისელები", "სტილი".
**კონკურსის პრომოუტერი:** საკონსულტაციო ჯგუფი "ჯეპრა"

**კონკურსთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ: ტელ.: 251904, (877) 497103 .**
**www.georgianhouse.ge**



თრეფიკინგი - უფასო იურიდიული კონსულტაციები.
ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი. მისამართი: აღმაშენებლის 89/24, "თბილქალაქპროექტის" მაღლივი შენობა, 12-ე სართული.
ტელეფონი: 95-10-03

ჩოგბურთი

## "ლედის ოუფენ" - მეშვიდედ



დალი კუპრავას ფოტო

ბათუმის კორტები ტურნირის დაწყების წინ.

21 სექტემბერს ბათუმში ღია საერთაშორისო საჩოგბურთო ტურნირი "ლედის ოუფენი" უკვე მეშვიდედ გაიხსნა. 21-22 სექტემბერს ჩატარდა საკვალიფიკაციო თამაშები და გამოიკვეთა პირველი ოთხი მოთამაშე, რომლებიც შეჯიბრებაში ძირითად წრეში ჩაერთვებიან. ტურნირი ტარდება ევროპის ჩოგბურთის ფედერაციის ეგიდით და ესწრება საერთაშორისო კომისარი. მთავარი მსაჯია გელა ელერდაშვილი, დირექტორი - ლელა მესხი. ტურნირის ძირითადი ორგანიზატორია აჭარის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი დიანა აბაშიძე. 32 მონაწილე ჩამოვიდა ისრაელიდან, ბელორუსიიდან, ხორვატიიდან, რუმინეთიდან, ლატვიიდან, გერმანიიდან. საპრიზო ფონდი, ისევე, როგორც წინა ორ წელიწადს, 75 ათასი დოლარია, რომელიც, როგორც აჭარის ჩოგბურთის ფედერაციის წევრმა და ნაკრების მწვრთნელმა ვლადიმერ ასათიანმა გვითხრა, ძირითადად, აჭარის ბიზნესმენების მიერ არის დაწესებული.

27 სექტემბერს ჩატარდება საკვალიფიკაციო შეხვედრები წყვილებში.

**"24 საათი"**

# ლაბაძე ყულაბას ავსებს

### ქართველმა ჩოგბურთელმა მეორე ტურნირი მოიგო

საფრანგეთის ბასკეთი. სენ ჟან დე ლუზი. ფინალი. ქართველი ირაკლი ლაბაძე ვეტერანი ფრანგი ფაბრის სანტოროს წინააღმდეგ. ლაბაძე მსოფლიო კლასიფიკაციაში 84-ე ნომერია. ფაბრის სანტორო - 50-ე, ამიტომ დიფერენციაცია ტურნირზე განთესვის დროსაც შესამჩნევი იყო. სანტორო მეორე ნომრად განთესეს, ლაბაძე - მეხუთე ნომრად. სანტორო ასაკოვანია და გამოცდილებაც მეტი აქვს. სამაგიეროდ ლაბაძე ახალგაზრდული შემართებით გამოირჩევა და, როგორც შემდგომში გაირკვა, ეს ჩელენჯერის ტურნირის მოსაგებად მაინც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა.

სხვათა შორის, ფაბრის სანტორო დევისის თასის გათამაშების შარშანდელ ფინალშიც ვეტერანობის გამო დაიწუნეს. მაშინ მას პოლ-ანრი მატიე ამჯობინეს, მაგრამ საფრანგეთის ნაკრებს მაინც არაფერი ეშველა (ის ფინალი რუსეთის ნაკრებმა მოიგო). ახლა ირკვევა, რომ ფრანგები მაინცდამაინც არ ტყუოდნენ, როცა ვეტერან სანტოროს ახალგაზრდა პოლ-ანრი მატიე ამჯობინეს.

სანტორო აშკარად აღარ არის ისეთ ფორმაში, როგორშიც ერთ დროს იყო. ფინალში ის მხოლოდ ორი სეტის სათამაშოდ აღმოჩნდა მზად. ფრანგი იმედოვნებდა, რომ ეს ორი სეტი გამარჯვებისთვის საკმარისი იქნებოდა, მაგრამ რაკი ირაკლი ლაბაძემ ტაი-ბრეიკზე ანგარიში გაათანაბრა, ფაბრის სანტოროს დავთრები საბოლოოდ აერია. მესამე სეტის თამაში ფრანგის გეგმებში აშკარად არ შედიოდა. ფსიქოლოგიური უპირატესობა უკვე ქართველი ჩოგბურთელის მხარეზე იყო და ნათელი გახდა, რომ ამ შეხვედრაში ირაკლი ლაბაძეს გამარჯვება აღარ გაუჭირდებოდა.

ამდენად, სანტოროს თამაში შეიძლება ასე შევაფასოთ: პირველ სეტში ის შეუდარებელი იყო, მეორეში – კარგი, მესამე, გადამწყვეტი სეტისთვის კი, უბრალოდ, ძალ-ღონე არ ეყო. ლაბაძე შეუპოვარი მოწინააღმდეგე გამოდგა. ვეტერანი ფრანგისთვის კი ეს მეტისმეტი აღმოჩნდა. ქართველმა ფრანგის მოწონება აიღო. აშკარა იყო, რომ სანტორო მატჩს ვერ შემოატრიალებდა და საპრიზო ფონდიდან (125000 დოლარი) გამარჯვებულისთვის განკუთვნილი 18000 დოლარი ახალგაზრდა ქართველი ჩოგბურთელისთვის უნდა დაეთმო.

ირაკლი ლაბაძემ კიევის ტურნირის შემდეგ მეორე ჩელენჯერი მოიგო და ასეულშიც საფუძვლიანად დამკვიდრდა.

| | |
|---|---|
| **პირველი წრე:** | |
| ირაკლი ლაბაძე (საქართველო, 5) - იგორ კუნიცინი (რუსეთი) | 6:2, 6:2 |
| **მეორე წრე:** | |
| ირაკლი ლაბაძე - ნოამ ოკუნი (ისრაელი) | 3:6, 6:3, 7:5 |
| **მეოთხედფინალი:** | |
| ირაკლი ლაბაძე - ენტონი დიუპუა (საფრანგეთი, 3) | 7:5, 6:4 |
| **ნახევარფინალი:** | |
| ირაკლი ლაბაძე - რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 3:6, 6:1, 6:0 |
| **ფინალი:** | |
| ირაკლი ლაბაძე - ფაბრის სანტორო (საფრანგეთი, 2) | 1:6, 7:6 (7:4), 6:4 |



ირაკლი ლაბაძე სენ ჟან დე ლუზში საუკეთესო იყო.

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** რონალდომ თხოვნით მიმართა "რეალის" ხელმძღვანელობას, შეიძინოს "მილანის" ნახევარმცველი რივალდო. რივალდომ "მილანის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და გარემოს შეცვლაზე უარს არ იტყოდა. მოვლენების ასეთ განვითარებაზე "მილანის" ხელმძღვანელობაც ყაბულს არის.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მოსკოვის "სპარტაკმა" კონტრაქტი გააფორმა იტალიელ სპეციალისტ ნევიო სკალასთან. ამის შესახებ გუნდის საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით "როსიისკაია გაზეტა" იუწყება. გაზეთის ცნობით, იტალიელმა კლუბის პრეზიდენტ ანდრეი ჩერვიჩენკოს პირადი კონტრაქტის ყველა დეტალი უკვე შეუთანხმა. თუმცა, კლუბის პრესატაშე ალექსეი ზინინი აცხადებს, რომ კონტრაქტი ჯერ გაფორმებული არ არის და გუნდი მწვრთნელის ძებნას განაგრძობს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ტოტენჰემ ჰოტსპურის" მწვრთნელის პოსტიდან გლენ ჰოდლის გათავისუფლების შემდეგ უკრაინელ ფორვარდს, სერგეი რებროვს, კლუბში დაბრუნების შანსი მიეცა. სწორედ ჰოდლმა ამოაგდო რებროვი "ტოტენჰემის" ძირითადი შემადგენლობიდან. "მე "ტოტენჰემში" ბევრი მეგობარი შევიძინე, მაგრამ ჰოდლის ხელმძღვანელობით ისინი ცუდად თამაშობდნენ. ბევრი მათგანი ახლა სხვა კლუბში თამაშობს და ძალიან კარგადაც. იქნებ ფეხბურთელებში სულაც არ იყო საქმე? მე მზად ვარ, დავბრუნდე, თუ კლუბში მელოდებიან. ჰოდლი რომ დარჩენილიყო, თამაშის შანსი არ მექნებოდა, მაგრამ ის წავიდა", - განაცხადა რებროვმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლევერკუზენის "ბაიერთან" შეხვედრაში მიუნხენის "ბაიერნის" ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ზე რობერტომ ლუსიოს ჩაარტყა და ამისთვის სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. თავისი საქციელის გამო ზე რობერტომ წითელი ბარათი მიიღო, მაგრამ "ბაიერნის" მწვრთნელმა ოტმარ ჰიტცფელდმა მსაჯის გადაწყვეტილებას მეტისმეტად მკაცრი უწოდა. თუმცა, გერმანიის საფეხბურთო კავშირმა გადაწყვიტა, რომ სიმკაცრე საჭიროა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მადრიდის "ატლეტიკოსთან" შეხვედრაში მიღებული მხრის ტრავმის გამო "ვალენსიას" მცველი მაურიციო პელეგრინო გუნდს თვენახევრით გამოაკლდა. მას არგენტინელ დიეგო რივასთან შეჯახებისას მხარი ამოუვარდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდი ოლე გუნარ სოლსკიაერი ახალ წლამდე ვერ ითამაშებს. ნორვეგიელს მუხლის ოპერაცია უნდა გაუკეთონ. რეაბილიტაციას სამი თვე დასჭირდება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ჩეხი იან კოლერი ვერ ითამაშებს უეფას თასის მატჩში ვენის "აუსტრიის" წინააღმდეგ. ჩეხი ფორვარდი ავადმყოფობს და მატჩამდე აღდგენას ვერ მოახერხებს. სავარაუდოდ, ავადმყოფობის გამო ვერც ტომაშ როსიცკი ითამაშებს. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას მატჩში ფლავიო კონსეისაოს, მარსიო ამორუზოს, კრისტოფ მეტცელდერისა და ტორსტენ ფრინგსის მონაწილეობაც.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** დორტმუნდის "ბორუსიას" ფეხბურთელები თანახმა არიან, ხელფასი 20 პროცენტით შეუმცირონ. იმის გამო, რომ გუნდი ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ვერ მოხვდა, მისი წლევანდელი შემოსავალი მოსალოდნელზე ბევრად ნაკლები იქნება. ამაში ფეხბურთელებიც იყვნენ დამნაშავე, ამიტომ ხელფასის შემცირების გამო ბევრი არ უკამათიათ.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** დები უილიამსების მამას, რიჩარდს, ამბიცია მოსძალებია - საკუთარი სახელის უკვდავსაყოფად თავისი სახელობის საჩოგბურთო ტურნირის ორგანიზება განუზრახავს. მასპინძლად აფრიკის კონტინენტი, კერძოდ, ნიგერია შეურჩევია.

ნიგერიულ პრესაზე დაყრდნობით, ცნობილი ხდება, რომ სახელოვანი დების მამა ახლა სწორედ ტურნირის (სახელწოდებით "რიჩარდ უილიამს კაპ") ჩატარების იდეითაა შეპყრობილი. იდეის განხორციელება ოქტომბერში, ნიგერიაში სტუმრობისას სურს. ოქტომბერში ნიგერიის დედაქალაქი აბუჯა მე-8 აფრიკულ თამაშებს უმასპინძლებს. რაც შეეხება უილიამსი-უფროსის პროგრამას, იგი ნიგერიის საქმიან და სპორტულ წრეებთან შეხვედრებს ისახავს მიზნად. მათთან შეხვედრის შემდეგ კი შესაბამის დოკუმენტზე ხელმოწერაცაა დაგეგმილი. წინასწარი მონაცემებით, ყველა შანსი არსებობს იმისა, რომ პროექტი განხორციელდება, რადგან, როგორც ცნობილია, რიჩარდის იდეისადმი კეთილადაა განწყობილი თავად ქვეყნის პრეზიდენტი ოლუსეგუნ ობასანჯოც.

■ ■ ■

**კრივი.** 63,5 კილოგრამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, რუს-ავსტრალიელი კოსტანტინ ცზიუ მისივე ოფიციალურ საიტზე ფანტავს ეჭვებს, თითქოს WBC (საბჭოს) საჩემპიონო სარტყელის ვაკანტურად გამოცხადებას აპირებდეს. "ცზიუ ოქტომბერში მოსკოვში გასამართ საბჭოს კონგრესზე იყო მიწვეული, როგორც ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ვერსიის ჩემპიონი", - ორი დღის წინ განაცხადა ცზიუს მენეჯერმა მეტიუ უოტმა. მანვე დასძინა: იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს ვერსიით რეიტინგში ყველაზე მაღლა მდგომი მოკრივეები – ჯანლუკა ბრანკო და არტურო გატი ორთაბრძოლას გამართავენ, ავსტრალიაში გადახვეწილი რუსი ყველაზე დაინტერესებული მაყურებელი იქნება, რადგან სწორედ მათ შორის გამარჯვებულს შეერკინება ტიტულის დასაცავ ორთაბრძოლაში.

■ ■ ■

**კრივი.** პრომოუტერ დონ კინგზე დაყრდნობით, სააგენტო "როიტერი" იტყობინება, რომ მძიმეწონოსნები დავიდ ტუა და ჰასიმ რაჰმანი კრივის მსოფლიო ასოციაციის (WBA) ვერსიით საჩემპიონო ორთაბრძოლას გამართავენ. ამ ტიტულს, მოგეხსენებათ, როი ჯონს-უმცროსი ფლობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საბოლოოდ გადაწყვიტა, მისთვის ჩვეულ ქვედა წონით კატეგორიაში გადაბარგებულიყო, საჩემპიონო სარტყელი ვაკანტური გახდა. ასე რომ, 13 დეკემბერს, ატლანტიკ-სიტიში, ვაკანტურ საჩემპიონო სარტყელს ტუა და რაჰმანი შეეცილებიან ერთამენთს. თავად როი ჯონსი კი 8 ნოემბერს WBC (საბჭო) და IBF (ფედერაცია) ვერსიებით მსოფლიო ჩემპიონ ანტონიო ტარვერს შეეცილება ტიტულებში.

რაგბი

## ვინ დატორავს იტალიას?

### აჭარული დათვი თუ ციმბირული?

პაატა თოთაძე

მართალია, სულ მალე რაგბიში მსოფლიო თასი იწყება და გულშემატკივართა ყურადღებაც ამ ტურნირისკენ იქნება მიპყრობილი, მაგრამ არც შინაური ტურნირებისა თუ ევროთასების დავიწყება იქნება. იმ დღეს, როცა საქართველოს ნაკრები ინგლისელთა წინააღმდეგ ავსტრალიაში თავის პირველ მატჩს გამართავს, ბათუმში ევროპის რეგიონთა თასის მერვედფინალურ მატჩში აჭარის რეგიონის გუნდი ციმბირის ნაკრებს უმასპინძლებს. ბათუმელებმა შარშან ტურნირის ნახევარფინალამდე მიაღწიეს. წლეულსაც, სულ ცოტა, იგივე შედეგის გამეორებას აპირებენ.

რუსებთან მატჩს იტალიელი ვანჩინი განსჯის, მეთვალყურეს კი FIRA-AER რუმინეთიდან გამოგვიგზავნის. ციმბირის ნაკრები ოდნავ შესუსტებული რუსეთის ნაკრებია. ასე რომ, ბათუმელებს 12 ოქტომბერს დიდი ბრძოლა ელით. გამარჯვების შემთხვევაში ზღვისპირელებს მეოთხედფინალში 1 ან 2 ნოემბერს ისევ ბათუმში მოუწევთ თამაში, ამჯერად - იტალიის ვენეტიეს პროვინციის ნაკრებთან. სხვათა შორის, ბათუმელებმა წლეულს ერთხელ უკვე მოახერხეს ციმბირელთა ძლევა – რუსეთის ჩემპიონატის დაწყებამდე ქვეყნის ჩემპიონი "ენისეი-სტმ" ბათუმში ჩამოვიდა და ზღვისპირელებმაც იქ სძლიეს მომავალ მეტოქეს - 29:28.

ქართველებისგან განსხვავებით, შარშან რუსებმა წარუმატებლად იასპარეზეს და წლეულს იგივეს გამეორება ნამდვილად არ სურთ. ამაზე "ენისეი-სტმ"-ის საიტზე გამოქვეყნებული ინფორმაციაც მეტყველებს. გუნდის მთავარი მწვრთნელის ალექსანდრ პერვუხინის თქმით, წლეულს, ფაქტობრივად, ჩემპიონობადაკარგული გუნდისთვის (ჩემპიონი, სავარაუდოდ, ვვა-პოდმოსკოვიე გახდება) გულშემატკივართა წინაშე რეაბილიტაციის ერთადერთი საშუალება რეგიონთა თასის მოგებაა. უახლოეს მომავალში ის კრასნოიარსკის მეორე გუნდის "კრასნი იარის" მთავარ მწვრთნელს შეხვდება და საბათუმო შემადგენლობასაც ამის შემდეგ დაასახელებს.

TV-სპორტი

### ოთხშაბათი. 24 სექტემბერი

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 უკრაინის ჩემპიონატი
15:00 იტალიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
15:55 "ევროფანკლუბი". "მანჩესტერ იუნაიტედი"
16:25 "ტოტალიზატორი". რუსეთის ჩემპიონატი. 26-ე ტური
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-ალღუმი. "რეალი" – "მარსელი"
18:40 იტალიის ჩემპიონატი
20:20 "დარტყმა გოლისთვის"
20:35 სახვალიო ტელეპროგრამა
20:40 თავისუფალი დარტყმა
20:55 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი საბერძნეთში. ქალები. რუსეთი - ესპანეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:45 FUTBOL MUNDIAL
23:15 გერმანიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
00:20 ინგლისის ჩემპიონატი. მიმოხილვა
01:20 თავისუფალი დარტყმა

**НТВ + СПОРТ**
11:00, 14:15, 18:10, 22:50 პრესცენტრი
11:15, 23:05 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი საბერძნეთში. ქალები. რუსეთი - უნგრეთი
13:15 "ვარსკვლავური სამშაბათი"
14:30 ბილიარდი. რუსეთის ჩემპიონატი
16:00 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი თურქეთში. ქალები. ბულგარეთი – ჰოლანდია. პირდაპირი ტრანსლაცია
17:40 "კეგლის დროა"
18:25 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი თურქეთში. ქალები. გერმანია – რუსეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 ავტორბოლები. "რუსული GT"
20:30 "ათენის გზაზე"
21:30 მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი უნგრეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
23:10 სახვალიო ტელეპროგრამა
23:25 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი საბერძნეთში. ქალები. ჩეხეთი – პოლონეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:15 ახალი ამბები
01:30 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი საბერძნეთში. ქალები. საფრანგეთი - საბერძნეთი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
11:30 ექსტრემალური სპორტი
12:30 ფეხბურთი. ევროგოლები
13:00 ფეხბურთი. ზაფხულის უნივერსიადა
14:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის კლასიკა
15:00 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები
16:00 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები
18:00 ველორბოლები. ესპანეთის ტური
20:15 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები
21:00 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები
23:00 ცხენოსნობა. ნაციის თასი ესპანეთში
00:00 ცხენოსნობა. ნაციის თასი კანადაში
01:00 გოლფი
01:30 აფროსნობა
02:00 ფეხბურთი. უეფას თასი
04:00 ახალი ამბები
04:15 "ოლიმპიური თამაშები"
04:45 ფეხბურთი. უეფას თასი

ბილიარდი

# დისიდენტური წარსული და ოლიმპიური მომავალი

დალი კუპრავა

"24 საათის" რედაქციის სპორტის განყოფილებაში ტრადიცია ჩამოყალიბდა:

სპორტული ინფორმაციის ყამირის ასათვისებლად თქვენი მონამორჩილის წარგზავნა.

ასე დაიწყო ჩემი სპორტულ-ჟურნალისტური მოღვაწეობა კიკბოქსინგით და ბილიარდით გაგრძელდა.

საბედნიეროდ, ბათუმში, ბილიარდის საქართველოს ჩემპიონატზე ჩასულს, იმდენმა და ისეთმა მობილიარდეებმა გამიწიეს კონსულტაცია, რომ ახლა სპორტული განყოფილების ჟურნალისტებს ტრენინგი ბილიარდშიც შემიძლია ჩავუტარო. რაც შეეხება ინფორმაციის მოცულობას და აქტუალობას, მას ერთი წერილი არ ეყოფა. ამიტომ ბილიარდით გატაცებულებს და ჯერჯერობით გაუტაცებლებსაც, ვურჩევ, თვალი ადევნონ სპორტული გვერდის რუბრიკას "ბილიარდი".

ჩვენი ქვეყნის კომუნისტურ ხანაში ბილიარდი სპორტის ელიტური სახეობაც იყო და არალეგალურიც. ბილიარდის მაგიდას შეძლებულ ოჯახებში ნახავდით. გაგახსენებთ ტიპურ კადრებსაც ფილმებიდან, სადაც ქურდულ-მაფიოზური საუბრები ბნელ ნახევარსარდაფში, ბილიარდის მაგიდასთან ხდება. ისე, ინფორმაციისთვის: არავითარი აუცილებლობა არ არის, რომ საბილიარდო მაგიდა მაინცდამაინც მიწის ქვეშ იდგეს და თან საეჭვოდ ცუდი განათებაც იყოს.

დღეს თბილისის საბილიარდოებიც საპირისპიროს ამტკიცებენ. და თუ ბათუმის ბილიარდის კლუბსაც ნახავთ, დარწმუნდებით, რომ ადამიანის მონდომებას (თუ მას შესაძლებლობაც ახლავს) წინ ვერაფერი დაუდგება. ბათუმში, ლერმონტოვის ქუჩაზე, ყოფილი უნივერმაღის შენობაში დღეს ბილიარდის კლუბია, ორივე სართულზე ექვს-ექვსი საუკეთესო მაგიდით, ბილიარდის ყველა სახეობისთვის. საქართველოს მობილიარდეების დიდი ამქარი მისაბაძად დემოკრატიული ორგანიზაციაა: ასაკის, ეროვნების, კუთხურობის, პარტიულობის, პროფესიისა და თანამდებობის გარეშე. ამიტომ, ის ფაქტი, რომ ბათუმის ბილიარდის სახლი სოსო გოგიტიძემ მოკლე ხანში "ააშენებინა", მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მას ბილიარდი უყვარს, კარგად თამაშობს და შეუძლია, მის განვითარებასაც შეუწყოს ხელი და ნაკლებად იმას, რომ ბილიარდს აჭარაში უშიშროების მინისტრი ლობირებს. ჩემპიონატის ფინალის შემდეგ წლევანდელი ჩემპიონის, პაატა ხმალაძისა და სოსო გოგიტიძის ამხანაგურ მატჩსაც დავესწარი. ჩემპიონმა ეს თამაშიც მოიგო, მინისტრს კი პროფესიონალიზმი იმაზეც ეტყობოდა, თუ როგორი კმაყოფილი გამომეტყველებით იღებდა პარტნიორის მიერ საუკეთესო დარტყმებით ლუზაში ჩაგდებულ ბურთულებს.



BATUMI NEWS

საქართველოს ჩემპიონი პაატა ხმალაძე.

ვიდრე კომბინირებულ პირამიდაში, "სიბირიაჩკაში" საქართველოს ჩემპიონატს დავუბრუნდებოდეთ, სასარგებლო იქნება აღვნიშნოთ, რომ ეროვნული ბილიარდის განვითარებას ქართული ენის სპეციალისტთა დახმარებაც დასჭირდება: კარგი იქნება ბილიარდის ტერმინოლოგიის გადმოქართულება, შინაარსობრივად ზუსტი და სხარტი ქართული შესატყვისებით. "კონსტანტინე გამსახურდიას თუ გავაცოცხლებთო", იხუმრა თენგიზ ღლონტმა, მობილიარდემ, მხატვარ-დიზაინერმა, აჭარის ბილიარდის ფედერაციის წევრმა და ბილიარდის პირველი ტურნირის ორგანიზატორმა: "მაშინ ერთ, საკმაოდ უხარისხო მაგიდაზე ვთამაშობდით, ასეთივე ცუდი კიებით", - დაამატა მან.

საქართველოში კარგი კიების დიდი ოსტატიც არის: მობილიარდე, მშენებელ-არქიტექტორი ამირან კოხრეიძე. წლევანდელი ფინალისტებიც მისი გამოთლილი კიებით თამაშობდნენ. ამირან კოხრეიძესთან კიაზე საუბარმა სტრადივარიუსი და გუარნერი გამახსენა, მაგრამ ამაზე შემდეგ. ჩვენს საუბარს კომენტარი გაუკეთა დავით ალექსიძემ, ბილიარდის საქართველოს ფედერაციის პრეზიდენტმა, როცა შენიშნა, რომ თამაშს ამირან კოხრეიძესთან ერთად ვადევნებდი თვალს: "ო, ბატონი ამირანი ბილიარდის ფილოსოფოსიაო". თავად პრეზიდენტი კი ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გავიდა.

2003 წლის საქართველოს ჩემპიონატი 21 სექტემბერს, პაატა ხმალაძისა და გურამ ჭოლოშვილის ფინალით დასრულდა. ჩემპიონატის მონაწილეთა ასაკი თვრამეტიდან სამოცდათხუთმეტ წლამდე მერყეობდა.

საქართველოს წლევანდელ ჩემპიონს, ხმალაძეს, მეორე ადგილზე გასული ჭოლოშვილი "აყვედრიდა": "შენი ჩემპიონობისთვის "კიტები" დავამარცხეო". მესამე ადგილზე არტურ პოლოსიანი გავიდა და საზეიმო ვახშამზე, როიალზე, კულაუს სონატინაც შეასრულა და ფრედი მერკურის საჩემპიონო ჰიმნიც დაუკრა.

ჩემპიონატის ოციათასიანი ფონდიდან, რომელიც აჭარის დემოკრატიული აღორძინების კავშირმა დააფინანსა, პირველ ადგილზე გასული ხუთი ათასით დააჯილდოეს, შემდეგ ყველა, შესაბამისად, მეთექვსმეტე ადგილის ჩათვლით. გამარჯვების თასები პრიზიორებს აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ გადასცა. საქართველოს ფედერაციამ კი აჭარის ფედერაციას სამახსოვრო თასი და მოვერცხლილქარქაშიანი ხმალი აჩუქა.

ფორმულა 1

# შუმახერთა დინასტიას მემკვიდრე გამოუჩნდა

ვის მიბაძავს პატარა ბიჭი, თუ არა მამას?! მით უფრო, თუ მამა "ფერარის" გერმანელი პილოტი, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი მიხაელ შუმახერია. შუმახერი-უმცროსი, სახელად მიკა, გარდა იმისა, რომ ძვირფასი სათამაშო მანქანებით ერთობა, მისი ყოველდღიური ცხოვრებაც, რა თქმა უნდა, სახელოვანი მამისა და ბიძის წყალობით, ავტომობილებს უკავშირდება. ჰოდა, მამაც მიხვდა, რომ პერსპექტივა შვილის ავტოსპორტით გატაცებას უქადის.

"უმჯობესი იქნებოდა, თუ გოლფი გაიტაცებდა, - ხშირად უთქვამს უფროს შუმახერს შვილის გატაცების თაობაზე. მაგრამ როდესაც მიხვდა, რომ ვერაფერს გააწყობდა, აზრი შეიცვალა: - რბოლების რისკიანობის გამო არასდროს გამომითქვამს უკმაყოფილება. საქმე ის არის, რომ ამ შემთხვევაში ჩემს შვილს შუმახერის გვარით მოუწევს ასპარეზობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზურგზე ტვირთაკიდებული გავიდეს სარბიელზე. სპორტში არაერთი მაგალითი არსებობს იმისა, თუ რა მომქანცველია მამის ჩრდილიდან თავის დაღწევა".

რაც შეეხება მიხაელის საჩემპიონო პერსპექტივას, ფაქტია: წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი ადრინდელთან შედარებით მსოფლიო ჩემპიონისთვის გაცილებით მძიმედ მიმდინარეობს. დიდია იმის ალბათობა, რომ სანუკვარი მეექვსე ტიტულის დაუფლებაში მას ხელი შეუშალოს "უილიამსის" კოლუმბიელმა პილოტმა ხუან-პაბლო მონტოიამ, რომელიც სახიფათოდ მიუახლოვდა გერმანელს. ჩემპიონის გამოსავლინებლად კი არცთუ ისე დიდი დროა დარჩენილი (28 სექტემბერს აშშ-ის, ხოლო 12 ოქტომბერს იაპონიის გრან-პრი). მიუხედავად ამისა, შუმახერი იმედს არ კარგავს: "მჯერა, რომ გავიმარჯვებ. უმჯობესი იქნებოდა, თუ ჩემპიონობას ამერიკაშივე მოვიპოვებდი, მაგრამ, ვატყობ, ეს არ მოხდება".

მიხაელს არაერთხელ უთქვამს, რომ სტატისტიკას ყურადღებას არ აქცევს, თუმცა, ფაქტია, მისთვის უმთავრესი მსოფლიო ჩემპიონატის მეექვსე ტიტულია: "ეს ფანტასტიკური რამ იქნებოდა. არა იმიტომ, რომ მეექვსედ დავეუფლებოდი უმთავრეს ტიტულს, არამედ იმიტომ, რომ იგი ურთულეს პირობებში იქნება მოპოვებული".

ამასობაში მიხაელის ძმა, "უილიამსის" პილოტი რალფი ორ ცეცხლშუაა. ჩემპიონობისთვის მებრძოლ მიხაელს ხომ სწორედ რალფის თანაგუნდელი მონტოია ჰყავს მოცილედ. ამის გამო რალფ შუმახერს ხშირად უხდება პასუხის გაცემა უსიამო კითხვაზე: ვის გულშემატკივრობს – უფროს ძმას თუ თანაგუნდელს?!

"ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, ძმას ვქომაგობ. მეორე მხრივ, პროფესიული თვალსაზრისით, "BMW-უილიამსისა" და თანაგუნდელის ხუან-პაბლო მონტოიას გამარჯვებაზე უნდა ვიფიქრო! ასე რომ, უმჯობესი იქნება, თუ მეთვალყურის როლით დავკმაყოფილდები", - ნეიტრალურ პოზიციას იჭერს რალფ შუმახერი.

ასეა თუ ისე, რალფი ვარაუდობს, რომ მის თანაგუნდელს გამარჯვების დიდი შანსი აქვს, რადგან მონტოია, გარდა იმისა, რომ კარგი პილოტია, "უილიამსის" საჯინიბოს ბრწყინვალე ბოლიდიც ჰყავს. რომ არა მონცაზე (იტალიის გრან-პრი, 14 სექტემბერი.-რედ.) მიხაელის მიერ პოულის მოგება და მონტოიას მიერ დაშვებული შეცდომა, საკითხავი იქნებოდა, ვინ მოიგებდა თავად იტალიის გრან-პრისო.




რალფი ფიქრობს, ვინ გახდება ჩემპიონი: შუმახერი, თუ მონტოია.

